თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

05.07.2022
N 2802

შპს ,,ტრანს დიდუბე"-ს დირექტორს
ბ-ნ ბ. მაისურაძეს

ბატონო ბადრი,

სს „საქართველოს რკინიგზაში" განხილული იქნა თქვენი წერილი (რკინიგზის კანცელარიის რეგისტრაციის N4750, 28.06.2022წ.), რომლითაც ითხოვთ სს „საქართველოს რკინიგზის" მოსაზრების დაფიქსირებას, შპს „ტრანს დიდუბე"-ს საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში მდებარე, 01.13.03.051.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, თანამედროვე ავტოსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში მდებარე, 01.13.03.051.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, შპს „ტრანს დიდუბე"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, თანამედროვე ავტოსადგურის მშენებლობა ხელს არ შეუშლის სს „საქართველოს რკინიგზის" ინფრასტრუქტურის მეურნეობების საოპერაციო საქმიანობას, ვინაიდან ტერიტორია რკინიგზის განაპირა ლიანდაგის ღერძიდან დაშორებულია მინიმუმ 80 მეტრით და მასზე მეურნეობების ბალანსზე რიცხული რაიმე აქტივები, მიწისზედა ან/და მიწის ქვეშ არსებული კომუნიკაციები განლაგებული არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს რკინიგზის" ინფრასტრუქტურას ტექნიკურად შესაძლებლად მიაჩნია 01.13.03.051.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს ავტოსადგურის მშენებლობა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობების, ნორმატიული დოკუმენტების, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებისა და წესების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნების დაცვით.

ინფრასტრუქტურის დირექტორი
გ. მარუაშვილი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია
TBILISI TRANSPORT COMPANY

N 01/5466
08/07/2022

5466-01-2-202207081802

შპს „ტრანს დიდუბე“-ს დირექტორს
ბატონ ბადრი მაისურაძეს
ს/კ 401997577
ტელ: 551 14 14 61
badrim@yahoo.com

ბატონო ბადრი,

თქვენი 8118/01, 05/07/2022 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.13.03.051.060 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები არაა განლაგებული.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

ვაგზლის მოედანი #2, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 235 77 77; ფაქსი: (995 32) 293 41 41
ს/წ 202886788; www.ttc.com.ge

#2 Vagzali Square, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 235 77 77; Fax: (995 32) 293 41 41
I/N 202886788; www.ttc.com.ge